ინტელექტუალური კონკურსი
„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის

განცხადება
(სარაიონო ტურთან დაკავშირებით)

ინტელექტუალური კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ სარაიონო ტური 2011 წლის 15 მარტიდან გაიმართება, სპეციალური გრაფიკის მიხედვით, რომელსაც შეადგენს ახალგაზრდული ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან შეთანხმებით.
სარაიონო ტურის თამაშებზე დაიშვებიან სასკოლო ეტაპზე გამარჯვებული გუნდების ბაზაზე შექმნილი სკოლების ნაკრები გუნდები (თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ცალ-ცალკე), შესაბამისი წესით შედგენილი განაცხადების წარმოდგენის შემდეგ.
სასკოლო ნაკრების სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს სასკოლო ეტაპზე გამარჯვებული გუნდის სახელწოდებას.

1. სასკოლო ტურში გამარჯვებული გუნდის 4 წევრი აუცილებლად უნდა დარჩეს სასკოლო ნაკრების შემადგენლობაში.
2. ახალი კაპიტნის არჩევა შესაძლებელია იმ პირობით, თუ ყოფილი კაპიტანი დარჩება ნაკრების შემადგენლობაში.
3. სასკოლო ნაკრებს უფლება აქვს ჰყავდეს სამი სათადარიგო მოთამაშე (ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად).

<u>სკოლების თხოვნის გათვალისწინებით, თამაშის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, სარაიონო ტურში მონაწილეობის უფლება მიეცემათ იმ გუნდებსაც, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა სასკოლო ეტაპზე.</u>

<u>ის გუნდი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სასკოლო ეტაპზე, აგრეთვე სკოლები, რომელთა მოსწავლეთა რაოდენობა 100-ს არ აღემატება სარაიონო თამაშს დაიწყებს +1 ქულით.</u>

სკოლებმა, რომლებიც კონკურსში სარაიონო ტურიდან ერთვებიან, უნდა წარმოადგინონ განაცხადები, თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, რომლებშიც მითითებული იქნება: სკოლის სახელწოდება, სკოლის სრული მისამართი, გუნდის სახელწოდება, გუნდის ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა, თითოეულზე კლასის მითითებით.

სარაიონო ეტაპზე მოასპარეზე ყოველმა გუნდმა უნდა წარმოადგინოს 50 კითხვა-პასუხი (25 – ძველი აღთქმიდან, 25 – ახალი აღთქმიდან), თითოეულ კითხვა-პასუხზე წყაროს მითითებით. წყაროდ გამოყენებული უნდა იყოს საპატრიარქოს მიერ გამოცემული ძველი და ახალი აღთქმის წიგნები (სხვა ლიტერატურა – ყუბანეიშვილი, ბუკია, გოგებაშვილი და ა.შ. განაცხადის კითხვების შედგენისათვის არ უნდა იქნას გამოყენებული). სასკოლო ეტაპზე წარმოდგენილი კითხვა-პასუხები არ უნდა განმეორდეს.

ყოველმა გუნდმა ასევე უნდა წარმოადგინოს გულშემატკივართა მიერ შესასრულებელი საკონცერტო ნომრები (1 გალობა, 1 ხალხური სიმღერა, 1 ხალხური ცეკვა).

განაცხადები, სარაიონო ტურში მონაწილეობისთვის, 20 თებერვლამდე, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში (თბილისი, წმიდა სამების საკათედრო ტაძარი) ან ინტერნეტ მისამართზე: biblia@axalgazrdoba.ge

გუნდები, რომლებიც წარმოადგენენ განაცხადებს 21 თებერვლიდან-26 თებერვლამდე, დაჯარიმდებიან -3 ქულით, ვინც განაცხადს შემოიტანს 26 თებერვლიდან – 5 მარტამდე, დაჯარიმდება -5 ქულით. 7 მარტიდან განაცხადები აღარ მიიღება.

კონკურსის დებულება იხილეთ ჟურნალ „ახალგაზრდობაში“; ვებ-გვერდზე: **www.axalgazrdoba.ge** ან ადგილობრივ რესურს-ცენტრში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:

895 300 516

895 300 515

E-mail: **biblia@axalgazrdoba.ge**